წელ. პირველი | ქვირა, 30 აპრილსა, 1906 წ. | № 6

ჯვარი ვაზისა

გამოდის ყოველ ქვირას
ღირს 3 მ. წ. ც. № 10 კაპ.

რედაქცია „ჯვარი ვაზისა"
კათოლიკების ქუჩა № 4

ამ წლის 26 მარტის თვიდამ გამოდის სურათებიანი ყოველ
კვირეული საეკლესიო საზოგადოებრივი გაზეთი

„ჯვარი ვაზისა"

სრული პროგრამით

ესი გაზეთისა ერთის წლით 4 მან., 26 მარტიდან, წლის დამლევამდე გაზეთი ელირება
ოლოდ 3 მანეთად, ცალკე ნუმერი 10 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში — 1
„ჯვარი ვაზის" რედაქციაში კათოლიკების ქ. № 4 კათოლიკეთა ეკლესიის სახლში, წერა
- კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ბ. შ. ქუჩუკაშვილთან.

საპატრიარქოს ბიბლიოთეკა

პიროვნული თავისუფლება და საზოგადოებრივი წესიერება

კეთილი მოქალაქე.

კეთილი მოქალაქე არის ის კაცი, რომელმაც იცის შეფერება; შეეთანხმება საკუთარ პიროვნებაში და მოქმედებაში იმისა, რაც პიროვნული მოვალეობაა და სხვის გამოქმაგებაა. ამას თავისი საკუთარი და თვისთა თანამგზავსთა ადამიანთა ინტერესები ავალებენ. ერთი სიტყვით კაცმა უნდა ადასრულოს ის, რაც საკუთარი პიროვნული თავისუფლება და საზოგადო წესიერება სოციალური დისციპლინა გვიბრძანებენ.

ნუთუ ჩვენი სვეტბედი შეგვახვედრებს სადმე ამ ნაირ კეთილ მოქალაქეს?

ამ გვარ კაცს, უთუოთ მოვიშოვით დემოკრატიაში (ხალხოსნურ მთავრობაში). და ისიც იმ დემოკრატიაში, სადაც ქეშმარიტი და პირუთვნელი ქრისტიანული გრძნობა არის აღიარებული და ქრისტეს მცნება ცხოვრებაში შესისხლ-ხორცებული.

კიდევაც ასეა, ამბობს მარკოზ სანგნერი: „დემოკრატია (ხალხოსნური მთავრობა) არის საზოგადოებრივი განწესრიგება, რომელიც მიიყვანს იმ მაღალ ზომამდე, სადაც თვითეული ადამიანი შეიგნებს, გაიცნობს თვით გრძნობიერებას და მოქალაქებრივ საზოგადო ინტერესების პასუხის გაცემას და მათ დაიცავს. მაგრამ ძალიან საშიშია, და კიდეც ხშირი მოვლენაა, ადამიანი დამტკბარი თავის საკუთარი ინტერესებით, ივიწყებს საზოგადოების ინტერესების სარგებლობათა, და თვის თანამგზავსის ადამიანეს გამოქმაგების მაგიერად ხდება მეთავისე და გამცემი იუდა საზოგადო ინტერესებისა. ეი ამით თავის თავს ანაცვალებს სხვა ყოველივეს.

ამ იდიალის განხორციელება, მოძღვრება და მაღალი მოიშოვება ქრისტიანულ ცხოვრებაში, რომელშიც კაცს ადამიანს შეუძლია ადვილად დაუქვევრდომოს, შესწიროს თვისი კერძო სარგებლობა ინტერესი საზოგადო ინტერესებს.

საზოგადოება არის, სთქვა ელმანემ, შედგინებითი მუდმივი შესაწირავი კაცისა, ადამიანისა, კაცისადმი, ადამიანისადმი. ეს წინადადება ქეშმარიტია, მაგრამ სრული არ არის. ქრისტიანობა, დაუმატებს:- საზოგადოება არის გამუდმებული შესაწირავი კაცისა კაცისადმი, როდესაც კაცი კაცს გაიცნობს შეუყვარებს და მას ეშველება, როგორც საკუთარ ძმას ღვთისათვის და ღვთის მიერ. ეი ეს არის იდეალი კეთილი მოქალაქისა.

მთავრობა

ახლანდელ დროში ყველას პირზე აკერია სიტყვა **მთავრობა.** ამბობენ: მთავრობა მდიდარ მთავრობა დამშვიდებულია, მთავრობა შერყეულ მთავრობა ანარხიას მისცემიაო. იძახიან: მთავრ ჯეროვანი პატივი უნდა ვცეთ და მოქალაქენ ვალდებულ არიან მას დაემორჩილონო, და სხ

მაგრამ რა სწორი შეხედულება უნდა ვი ნოთ მთავრობაზედ და რა არის მისი მოქმედ ასპარეზი კაცობრივ საზოგადოებაში, ვეცდ ჩვენი ჰაზროვნება განუზიაროთ მკითხველ ლიუდოვიკე XIV ფრანგთა მეფე სწყვეტდა ამ კითხვას ერთი ლიტონი სიტყვით: „მთავრობა, ვარ“. მის აქეთ კიდევ სთქვეს: „სამშობლო ე წესი, კანონი, ხელმწიფე“, ეი მთავრობა. დღეს ლოდ მარტივათ გაიძახიან „მთავრობა“. ეი დ საბუთი, რომ იდიათა, (ჰაზროვნებათა) მსვლელ არ შეიწყნარა და არ იცნო კანონად სიტყვა ლ დოვიკო XIV „მთავრობა მე ვარო“ ნუ თუ ლოსოფიამ ეს განმარტება უკეთ თავაზიანათ ღო თავის მეცნიერებაში?

ჩვეულებითად, ლაპარაკში ვამჩნევთ, რომ ტყვა „მთავრობა“ ნიშნავს: ზოგჯერ მოქალა რივ საზოგადოებას და ზოგჯერ მმართველობას.

მოქალაქობრივი საზოგადოება არის კ ინდივიდუთა ადამიანთა და სახლ-ოჯახობათა, მელნიც ემორჩილებიან ერთ და იმავე წესსა, და იმავე კანონს მის იმედით დაიცვან გა წესიერება, თავიანთი ვალდებულებანი აღასრულ და ხელ შეუხებელ და უზრუნველ ჰყონ თავი რჯულიერი თავისუფლება.

მიზანი ამ საზოგადოების არსებობისა, ამ ვრობისა, არას მოუცილებელი საჭიროება, ნ უზრუნველ ჰყოს ადამიანნი და სახლობანი გა ლი სათემო მყუდროების დაცვით, დაუტკბოს ვრება კაცს, რათა უდარდელად აღასრულოს მიანმა თავისი ვალდებანი და ისიამოვნოს თვ კუთარ თავისუფლებაში.

ვინაიდგან ადამიანმა და სახლ-ოჯახობამ დაასწრო თავის არსებობით მთავრობრივ ამ ლაქობრივ წეს-წყობილებას; მაგრამ პირველ ოვრების ნაირობას არა ჰქონდა ჰუნარი, რომ გრძო თავისი არსებობა მშვიდობიანობაში ვერ ნაურდებოდა სისრულეში და ვერც მიაღწევდა აღსასრულს უმოქალაქობრივ საზოგადოებისა წყობილებას. დასაწყისში მშობლების ავტორიტ

საკმარისი იყო მისთვის, რომ ადამიანთა კრების რიცხვი ძალიან მცირე იყო. მაგრამ სადაც სიმრავლე ხალხისა იკრიბება ერთად იქ კაცობრივი ვნებანი, ბოროტ მიდრეკილებანი თავს იჩენენ ხოლმე და ჰბადავენ საზოგადოებაში განხეთქილებას და უწესობას. ამიერით საჭირო ხდება, რომ კაცმა შეადგინოს ერთი სულ სხვა საზოგადოება ვიდრე ოჯახობა, ხოლოდ კი ამ მთლად ახალ საზოგადოებას უნდა ექონდეს შეძლება ავტორიტეტი საკმარი, რომ უწესოებები მოსპობს და თვითეული ადამიანი უშიშარ ჰყოს თავის საკუთარ მოვალეობათა ვარჯიშობაში. აი ეს არის საძირკველი, მიზეზი და აღსასრული საზოგადოების არსებობისა.

აქედგან ადვილათ იგულისხმება, რომ მოქალაქებრივი საზოგადოება, არ არის თვით ნებულითი საზოგადოება, არცა ისა, რომ არ ავალებდეს ერასმეს კაცსა. ან წინააღმდეგი იყოს ადამიანის უწინდელი მდგომარეობისა, როგორც ჰაზროვნებდნენ და აჯერებდნენ ხალხს ჰობბე და რუსო.

საზოგადოება მოქალაქობრივი თავის თავად ერთა ვითარებამ შექმნა, კიდეც პასუხს აგებს და აკმაყოფილებს ადამიანის უსაჭიროესს მოთხოვნილებას.

იგი დაიბადა არა საზოგადოებრივი შეთახმებით, არამედ კაცის ბუნებრივი ვალდებათაგან.

მისახწევლად თავისი მაღალი—მიზნისა, რომელიც არის სათემო საზოგადოების დაცვა მათი ინტერესებისათვის თავ-გამოდებული გამოქომაგება, მთავრობას ესაჭიროება სამნაირი შეძლებათა ერთვა. რომელზედაც პოლიტიკური განწესწყობილება დაფუძნებულია.

სამი შეძლებათაგანი, პირველი არის. შეძლება კანონ მდებლობისა, შეძლება კანონთა შესრულებისა, შეძლება განსამართლებისა. ამ სამთავე შეძლებათა აღსნა განმარტება აქ უადგილო იქნება.

საზოგადოთ მიღებულია და აღიარებულია, რომ ეს სამივე შეძლესანი არ უნდა იმყოფებოდეს ერთ და იმავის ხელში, რომ დესპიტიკური ძალმომრეობა არ იხმაროს და მთლად დაცულ დაკრძალული ყოს მოქალაქეთა თავისუფლება.

ამას ეძახიან **შეძლებათა, უფლებათა განყოფის** პრინციპსა.

მთავრობის საქმიანობა არის დამოუკიდებელი თავისა კონსტიტუციონალურ ფორმისა.

თუ რანაირი უნდა იყოს მთავრობა, ან მართველობა, ან იმ პირთა აღმორჩევა, თუ როგორ უნდა განაგონ საზოგადოება, ეს კაცის ბუნებრივ ვალდებულებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ მოქმედება შემთხვევითი, რომელიც ადამიანთა სრულ ნებაზეა დამოკიდებული.

პლატონ ფილოსოფოსი ამბობდა: „ფორმა იდეალური მმართველობისა არის არისტოკრატია, ბრძნეთა მართველობა. არისტოტელი კი, შეზავებულს დემოკრატიას ნატრობდა. ციცერონი, შერეულ მმართველობას იქადიდა. ეს შერევა უნდა ყოფილიყო, მონარხიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული, როგორც დღევანდელი რესპუბლიკები იმყოფებიან.

მონთესკიუ, კონსტიტუციონურ მონარხიას აჯობინებდა ყველას.

მაშ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თვითეულს საზოგადოებას (რომელსაც ღმერთმა მეუფება შეძლებთამა მიანიჭა თავისუფლება ადამიანს, რომ მან ამოირჩიოს თავისი წართომადგენელი, შეუძლია, მიხედვით თვისი ზნე-ჩვეულებისა, ხასიათისა, საკუთარი კერძო საჭიროებისა, მისი მისწრაფებისა და პოლიტიკური გამოცდილებისა, ამოირჩიოს მართველობის ფორმა, რომელიც ადვილად მიიყვანს საზოგადო აღსასრულადმდე.

მმართველობის ფორმა არ არის მხოლოდი, არამედ ყოველი ფორმა არის კანონიერი, რომელიც პატივსა ჰსცემს ძირითად პრინციპებს საზოგადოებასაც და შეუძლია დაიცვას სათემო წესიერება.

მაგრამ როდესაც მმართველობის ფორმა არჩეული იქმნა და კანონიერად. ააღიარებული საზოგადოებისაგან, მაშინ თვითეული კაცი ვალდებულია თანამშრომელობა გაუწიოს საზოგადო საკეთილდღეობისათვის.

თავის უფალია თვითეული მოქალაქე, რომ ინატრის, ისურვოს და კიდეც გამოითხოვის იმ წესკანონების გაუქმება, რომელნიც არიან წინააღმდეგნი საზოგადო სათემო ინტერესებისა, მაგრამ ყველასაგან დაგმობილი უნდა იყოს იმ მამულიშვილის აჯანყება იმ დროს, როდესაც მოქალაქობრივი განხეთქილება და ამბოხება მძვინვარებს.

მართალია ისტორია უკდავათ ხდის რომელიმე შეამბოხეთა, შემდეგ მოქმედებისა, აჯანყებას აკანონიერებს, მაგრამ ყველა ზნეობრივი სწავლა განათლების მასწავლებელნი დაგმობენ ამაოდ სისხლთა ღვრასა დი ამბოხებაზედ წამქეზავს.

საზოგადოთ, მთავრობამ უნდა შეახალისოს, დაიცვას გამოქომაგოს და არა თავისში შთანთქას საზოგადოება.

ამ ზემოდ მოყვანილი ჰაზრიენებით ბუნებრი-

ვად იგულისხმება, რომ მთავრობის მოქმედების ასპარეზი რა იქნება ეს ნაჩვენებია თვის აღსასრულისადმი მისწრაფებაში.

რომელიც აღნიშნება ადამიანთა ვალდებათა დაცვაში და მოქალაქეთა თავისუფლობის შეზღუდვაში.

მთავრობამ უნდა შემწეობა ამოუჩინოს იმას რაც არ ეწინააღმდეგება სიმართლეს და სისწორეს, არამედ მარგებელია ადამიანთა და ოჯახობათ თავისუფლად ისარგებლონ თვისი საკუთარი უფლებისაგან, მშვიდობისა და მორიგების აღსადგენელად, გასანაყოფიერებლად და გასაძლიერებლად სამოქალაქო საზოგადოებისა.

ის რაც საზოგადოების აღსასრულის წინააღმდეგია და მავნეა მაშინ მთავრობა უნდა ცდილობდეს მათ მოსპობას. შევამჩნიოთ, რომ მთავრობა არის შექმნილი მოქალაქეთა მხარის დამჭერათ, გამოსაქომაგებლად და არა თავისში შთასანთქავად მათი შესავიწროებელად, რომ მხარი დაუჭიროს მთავრობამ თვის წარმომადგენელთ უსამართლოების დასაფარავად, მოქალაქეთა მოსასპობათ და თავისი მონოპოლიის დასაარსებლად. ის მთავრობა, რომელიც მოისურვებს ყველა თავისაკენ მიიზიდოს, ყველა თავის მფარველობის ქვეშ შეიყვანოს, მოქალაქეთა თავისუფლება შელახოს და მხოლოდ თავისი თავი აღვიაროს „მთავრობა მე ვარო“ ამნაირი მთავრობა არის დესპიტიკური, კესარიულ და არა საზოგადო მოქალაქობრივი.

ამაების მიხედვით ამნაირი მთავრობა ითვისებს იმ შეძლებას, რომელიც არ აქვს და არც ექნება რა? მან უნდა განაგოს ჩემ რწმენაზედ, შემათვისებინოს ძალით თვისი ჰაზრები, აღზარდოს ჩვენი შვილნი, მოწყალება გასცეს ჩვენ სამაგიეროდ. მხოლოდ კი შეძლება მოგვცეს, რომ გადასახადი გადავიხადოთ და ომიანობაში კარგად თავი შევაკლათ! ვის გაუგონია ეს?

პ. პაწაძე.

უკანასკნელი ცნობანი.

რუსეთი სამინისტრო დაეცა ვიტე და დურნოვი გავიდნენ სამსახურიდგან უმაღლესი რესკრიპტებით.—

ახალი სამინისტრო შესდგა გორემკინის თაოსნობით.

— რუსეთის გაზეთებმა პრესამ დაიწყო ლაპარაკი საქართველოს გათახსირებულ ამბოხებზედ.

— გენერალ გუბერნატორის დუბასოვის კარეტას ყუმბარა ესროლეს. ადუტანტი სასიკვდილ[illegible] დაიჭრა დუბასოვი სუბუქათ გადარჩა.

— 27 აპრილსა იქმნა სახელმწიფო თათბირ[illegible] გახსნა.

კიდევ აგრალული მოძრაობა. ხშირდება. [illegible] სეთში.

— მთავრობამ გამაგრა საპოლიციო მხარე.

— კვალად აჩენენ ყუმბარებსა და არა ლ[illegible] ლურ სტამბა საბეჭდავებს.

საფრანგეთი.—პირველ მაისში სოციალისტ[illegible] დიდი კრებები იმართებოდა.

— გაფიცვა ადგილ ადგილ კიდევ არის.

— ქ. მარსელიაში ასოთ ამწყობლი გაიფიც[illegible] და ითხოვეს 9 საათის მუშაობა.

ქ. კარდინალ ლაბურეს დამარხვაზედ [illegible] ესწრნენ სენატორები დეპუტატები ქალაქის მო[illegible] ვენი.

— მონთელიმარში ყუმბარა გადაგდებული[illegible] ნა ძველ პრეზიდენტათ ყოფილ ლუბეს წინ ლ[illegible] გადარჩა სასწაულით.

ინგლია. პრინცი და პრინცისა გაალისა [illegible] ლენ მადრიდში მეფე ედუარდის წარმომადგენელ[illegible] და ალფონს XIII დაქორწინებაზედ. დასასწრობ[illegible]

გერმანია 15 მაისისა, სინდიკატნი ბერლი[illegible] ბრესლავია კოლონიასა ფრანკფურტისა მისალ[illegible] ლორდ მაიორისა.

საბერძნეთი. მეფე ედუარდის მგზავრობამ [illegible] ჩაბეჭდილება მოახდინა საბერძნეთისა ერზედ. [illegible] და დედოფალი ინგლიისა ნაპოლში წავიდნენ.

სერბია. მეფე პეტრო ცხენით სეირნ[illegible] დროს ჩამოვარდა ცხენიდგან სუბუქათ იქმნა ლ[illegible] ვებული.

— პასშიმ შეადგინა ახალი სამინისტრო [illegible]

სათათრეთი ეგვიპტის საქმე გამწვავდა სამნე[illegible] ჯერ ლაპარაკი არ შეწყვეტილა. 2,500 ჯარის [illegible] დგას აკბასთან.

იტალია—ბელგიის მეფე ლეოპილდი წ[illegible] ჯენოვიდგან მილანში.

— ოსტის კნიაძი რომაში მივიდა დეპუტ[illegible] პრეზიდანტის სანახავად რომ აცნობოს იგი [illegible] ამორჩეული იმ კომიტეტისა რომელიც ვეზ[illegible] დაზარალებულთა შემწეობას უჩენს.

— ფოიაში მიწა ინძრა.

— ინგლიის მეფემ ინახულა მილანის ე[illegible] ზიციონი.

— ზანზიბარის სულთანი ბრინდიზის გზ[illegible] ვიდა პორსაიდში.

პაპი ლეონ XIII 1810—1903

პაპი ლონ მე XIII. ე (ერობაში იაკიმ პეჩი)
ვილი შეძლებული კაცისა დაიბადა 1810 წ.
ვისი სათნოიანი ხასიათით კარგის განათლებით,
ყველას აწონებდა თავს და მართლაც მალე მო-
ივა საერო და სასულიერო საზოგადოების ყურა-
ღება და სიყვარული. შედეგი ამისა ის იყო; რომ
მსწრაფლად დაწინაურდა. მისი მოღვაწეობა
იწყო 1837 წელსა უბრალო პრელატის სამსა-
ურიდან გრიგორი XVI ის სასახლეში. 1878 წე
ს ის უკვე აირჩიეს პაპის თანამდებობაზე. ამ დღი-
ან ის შეუდგა სამოციქულო საყდრის ინტერესე-
ს დაცვას. აყენებდა პირდაპირ პრინციპიალურ
თხვებს მხოლოდ თავაზიანი მჯეოლბით ამაგრებდა
პის ავტორიტეტს და ტახტს. ის დიდი მეგობარი
ო ფრეთვე გერმანიის რკინის კანცლერ ბისმა-
კისა და ძაან კმაყოფილიც დარჩა, როდესაც ბი-
არკმა აირჩია იგი მედიატორეთ ისპანიასთან შე-
აკებაში კაროლინის კუნძულების შესახებ (1885 წ.)
ლეონ XIII-ე მეცნიერებასაც ჯეროვან ყუ-
ადღებას აქცევდა. 1883 წელს მან ნება დართო
ცნიერებს ვატიკანის არხივის გადასინჯვისა და
სწავლისა. თვითონაცა სწერდა ლექსებს. ლათი-
ურ ენაზე. უკანასკნელ დროს მან მიაპყრო ყუ-
ადღება მუშათა კითხვასაც. 15 მაისს 1891 წელს
ნ გამოაქვეყნა თვისი მიწერილობა კათოლიკეთა
კლესიის ეპისკოპოზებთან, რომელშიაც ის ამ-
კიცებს, რომ მუშათა კითხვის გადაწყვეტა მხო-
ოთ ეკკლესიას შეუძლიანო. ის არკვევს შრომას
ა კაპიტალის ურთიერთთან დამოკიდებულებას,
ა ურჩევს მდიდრებსა და ღარიბებს იცხოვრონ თა-
ხმობით, შეყვარებით ურთიერთის სიყვარულით!.

საქართველოს სიძველენი.

ქართული გერბი ტრიოდიონზედ დაბეჭდილი. 1792.

2. ჩუბინაშვილის კათალოგი № 163 ტრიოდიონი 1792 წლ. გამოცემა. წიგნი, პირველსავე გვერდზე აზის ბეჭედი სიგრძით 8 სანტიმეტრი, სიგანით 13, რომელსაც თავზე ადგია გვირგვინი, მარცხენით და მარჯვენით თითო-თითო ანგელოზი, გვირგვინს ქვეით ხმალი და სკიპტრა ჯვარედინად, მათ მარცხენით დავითის ქნარი, მარჯვენით მისივე შურდული, შუაში ოთხ-კუთხედია და შიგ ჩახატულია ქრისტეს კვართი, რომელსაც გარტემო აწერია.

„განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი" კვართს დარაჯობენ აქეთ იქით ყალყზე მდგარი ლომები, მარცხენა ლომ ქვეშ ხატია სფერა (ქვეყნის ბურთი) თავზე ჯვრით, მარჯვენა ლომს ქვეშ—სასწორი, ბეჭდის გარშემო შემდეგი წარწერაა, ასო მთავრულით „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცჰყო, იგი ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა".

ქართული გერბი მარი ბროსეტის წიგნში დაბეჭდილი 1831.

4) ბროსტეს თავის მშვენიერ გამოცემაში: (Chronipue géorgienne, Paris, 1831 წ.) ბეჭედი სიგრძით 8 სანტრიმეტრია, სიგანით—13, შუაში ხატია ქრისტეს კვართი, გარეშემო შემდეგი წარწერით: „კვართი იგი რომელი იყო უკერავი ზევით კვართს ადგია გვირგვინი და მარჯვენა კუთხეებში ხატია ზამბახას ყვავილები, გვმრგვინს მარცხენით ახლავს დავითის ქნარი, მარჯვენით დავითის შურდული, მათ ქვეშ სკიპტრა და ხმალი ჯვარედინად, კვართს მარცხენით და მარჯვენით დარაჯობე ყალყზე მდგარი ლომები. მარცხენა ლომს უკანა ფეხებთან უხატია ქვეყნის ბურთი, მარჯვენას კი სასწორი. როგორც ამ აწერებიდან სჩანს ჩვენი შეძენილი ბეჭედი ყველა არსებულებზე უფრო რთულია. ფრიად სასურველი იქნებოდა გვენახა ჩვენი ლორფინი შესაფერი ბეჭედი, მაგრამ ვერც ერთს წერაკითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავში არსებულ ნაბეჭდ წიგნებზე ვერა ვპოვეთ რა მისი მსგავსი, ასე რომ ჩვენი ლორფინი ერთად ერთია ჯერჯერობით.

საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება უწინ და ეხლა.

დღეს ქართველი ერი საზოგადოდ და საქართველოს სამღვდელოება ყურძოდ დიდს საგონებელში ჩავარდნილი: დიდის გაჭირვებისა გამო ღრმად ჩაფიქრებულია—წინანდელებრ შეცთომა არა ჩაიდინოს რა და სამოთხის მონსტერემ თავი ყველავ ჯოჯოხეთში არ ამოჰყოს. დღეს ყველა ჩვენგანი იმის ცდაშია, რომ გამოიძიოს-გამოიკვლიოს თუ ოდეს ქართველთათვის საოცაყვანებელი და დიდად თაყვ საწონი საქართველოს სამღვდელოება დღეს საგონ ბელ-ავად სახსენებელი რათ შეიქნა? ამ სამწუხარ გარემოებაში მყოფი სამღვდელოება კიდევ ნუგეშობ რომ დღეს ქართველ ერს თვალი და ყური მისკ მიუპყრია და სულ განაბული ელოდება მისს ძვ ლებურს აღმაფრთოვანებელ თაოსნობასა. კარგ მოგეხსენებათ ყველას, რომ უკუმართმა ე მთაბრ ნვამ კარგი ხანია ჩვენი ეროვნების სასიცოცხლ მაჯის ცემა შეაყენ-შეაფერხა. წარსულის საუკუნ დამდეგს აქეთ ქართველი ერი, არ იქნა დღემ ვერ შეეთვისა უცხო ცხოვრების კანონებსა, ვ შემსისხლხორცა იგინი. წარსულმა საუკუნემ რ ჩვენს საერო ცხოვრებაზედ ზედ გამოჭრილი კინ ნები და სამართალი შინიდგან გარეთ განდევნა, მ მაგიერი გამოსადეგი რამ არა მოგვცა-რა და, პი იქით, შინაური ყრმათა ილზრდისა და სამამულ დულო, და სხვა სმქმეები ერთიანად აგვიწეწა აგვრიე-დაგვირივა. ამიტომ ქართველი ერი დღემ ორ ცეცხლს შუაა: ძველი ეროვნული წესწყობილ ვერ დაუვიწყნია ჯ თავზედ ძალად მოხვეული უცხ წესები ვერ შეუთვისებია. აი, ამისთანა გასაჭირ მყოფი ქართველი ერი ელოდება დღე-დღეზედ ს ღვდელების რიხიან ხმასა, სიმართლისათვის ხმ ამაღლებას. რა თქმა უნდა, სამღველოებას რ დღემდეც ამოელო ხმა დაკარგულის სახელის აღ გენისათვის, ძალიან კარგს იზამდა, მაგრამ პი თევზივით წყლითა ჰქონდა დღემდე სავსე და ბევ სათქმელიდან ცოტაოდენის თქმასაც ვერ ახერხებ მადლობა ღმერთსა, ზოგი პირი მარგებელიაო, იმ არ იყვეს, დღეს ყველა ძალათ დამუნჯებულს აეხსა, პირში ამოდებული ლაგამი წაეყარა. ვინ ი ცის ჩვენის ეკკლესიის და სამღვდელოების საქმ უკოლმა დატრიალება, მიწასთან გასწორება დღ მაგრამ საქართველოს სამღვდელოება უწინ სწ რ საერთო გაჭირვებაში იჩენდა ხოლმე დიადს ენარ და, მტრისაგან წელში მოხრილ ერს, საა ს მთქმელებისათვის ფეხსე დააყენებდა, თუ წარ საუკუნეში ჩვენმა სამღვდელოებამ ველარ შეიძ გაჭირვებაში თავისი უნარი გამოეჩინა ხოლმე, გისი ბრალი მარტო სამღვდელოებას ვერ დაედ ამ ოცოდე წლის წინად ერთს რუსულ გაზ (ვგონებ „Современ. извѣстія"-ში) ვიღაც მადლ სწერდა—„სპარსთა, არაბთა, სელჯუკთა, მონგოლ თსმალ-ლეკთა და სხ. მტრულობამ ამდენი არ ... საქართველოს ეკლესიასა და ქართველს ერსა, რამდენ

811—1905 **დროშაჲთ.**" ოლონდაც! წინეთ საქართვე-
ოს ეკკლესიასა და სამღვდელოებას თავი ხელთ ჰქონ-
ა: 488—1811 წ.წ. განმავლობაში საკუთარი კათა-
იკოზი ეჯდა, ორმოცამდე მღვდელთ-მთავარი, მრავა-
ი აყვავებული მონასტერ-ტაძრები ჰქონდა. იმ
როს სამღვდელოება განაგებდა ქართველი ერის
ულიერ ცხოვრებასა და სულიერ საზრდოს უხვად
ვდიდა თავის სამწყსოს. საუკუნეთა განმავლობაში
მღვდელოების გავლენა დიდად გინმტკიცდა და
ესისხლხორცა მთელ ქართველ ერს. ს მღვდელო-
ა უწინ განათლებული იყო და მეფე-დიდებულნი
ირად ემორჩილებოდნენ და მოწიწებით ისმენდნენ
ს ხმასა, მისს სიტყვასა და რჩევას მუდამ გავლენა
ონდა. საქარველოს კათოლიკოზნი და მღვდელთ-
ავარნი შინ ჭეშმარიტნი მწყემსნი იყვნენ და გა-
ეთ მტერთათვის საზარელნი და მრისხანენი. ქრის-
იანობის პარველი საუკუნოებიდგანვე სამღვდელო-
ბამ იწყო სამღრთო წერილის თარგმნა, ქართველ
მიდმთა ცხოვრების და საერო მატიანეტა აღწერა,
ექმნა უმდიდრესი სასულიერო მწერალ-მწიგნობ-
ობა, ყრმათა სასწავლო ბინადრობად გარდააქცია
ონასტრები და ტაძრები, შექმნა საკუთარი სამარ-
ალი, სახუროთმოძღვრებო—სამხატვრო და სხვა
ელოვნება, შეამუშავა ფრიად შესანიშნავი სამწე-
ალ-მწიგნობრო ენა.

ჩვენის უძველესის მატიანების მწერალნი იყვნენ
ბიათარ და იაკობ მღვდლები, ს.მოელ დიაკონი
ამოელ მთავარეპისკოპოზი, ევაგრი მთავარი, მიქელ
ერმონაზონი, ანტონ მროველი, იოანე დეკანოზი,
ღვდელი იოანე საბანისძე, სტეფანე მტბევარი, კა-
ალიკოზები—ბასილ, არსენ, ნიკოლოზ და სხ.—
რტო შინ, საქართველოში არ გამოიჩინა თავისი
ნარი სამღვდელოებამ: IV—V საუკუნიდგანვე გა-
ჩინა მკვიდრი ბინა იერუსალიმში, ანტიოქიაში,
ნა-მთაზე, კონსტანტინეპოლში, ათონის მთაზე,
ესალონიკეში, ბოროლათში და სხ. აქ ყველგან
დიდარი მონასტრები გამართა, ამ მონასტრებში
ობით და ორასობით ქართველი ბერმონაზონები
ოვრობდნენ. მათ შეადგინეს საკუთარი სამონას-
რო და საეკკლესიო ტიბიკონები, შეუდგნენ სხვა
ა სხვა ენათაგან ქართულად სასულიერო თხზულე-
ათა თარგმნასა და წერას: ითხზვებოდნენ საგალო-
ლნი და სამშობლო კილოებზედ იმართებოდნენ;
ამუშავეს გალობის კილოები, ზრდიდნენ ახალგა-
ზა ქართველებს და ამზადებდნენ სამაგალითო მკი-
ველებს, მგალობლებს, მწირველ-მლოცველებს,
დაგებლებს, მხატვრებს და სხვა და სხ. მოღვაწე-

ებსა. ეს დიდი საქმეები საქართველოს სამღვდელო-
ბამ მოახერხა სწორედ იმ გაჭირვების დროს, როცა
პარსნი, არაბნი და სელჯუკნი (V—VI საუკ.) რიგ-
რიგით ბატონობდნენ საქართველოში, როცა საქარ-
თველოს მეფენი მთიან ადგილებში იყვნენ გამაგრე-
ბულნი და იქიდგან ჰპატრონობდნენ დაწიოკებულ
საქართველოს ერსა. აი ამ დროს სამღვდელოება
კარი-კარ დაიარებოდა და უკეთესის მერმისის სასო-
ებას განუმტკიცებდა ქართველობას. მაშინდელი
მონასტერ-ტაძარნი თავის გალავნებით და ციხე-
კოშკებით საიმედო საფარს წარმოადგენდნენ საერ-
თო გაჭირვებაში. ხშირად თვით სამღვდელო პირნი
წინ უძღოდნენ ჯვარით ხელში თავის სამწყსოს
მტრებთან საბრძოლველად. სამღვდელოების მეო-
ხებით გაერთდა პატარ-პატარა სამთავროებად და-
ნაწილებული საქართველო.

სამღვდელოება იყო აღმზრდელი სამეფო ოჯა-
ხის შვილთა, დარბაზის ერთა, თავადთა და გლეხ-
თა. ამიტომ მეფენი, თავად-აზნაურნი და გლეხნი
ღრმად მორწმუნე ქრისტიანე იყვნენ, ქრისტიანო-
ბისათვის თავდადებულნი, ბევრი მათგანი ეწამა და
დაიტანჯა სამშობლოს გულისთვის: წმ. მეფე მირ-
დატი (408 წ). წმ. მეფე ვახტანგი (499 წ.) წმ.
ესტატე, წმ. რაჟდენი, წმ. არჩილი, წმ. შუშანა,
წმ. აშოთი, წმ. შალვა ახალციხელი, ათი ათასი
ქართველი მეომარით, მოწ. დიმიტრი თავდადებუ-
ლი, წმ. ანნა დედოფალი, წმ. იოთამ ზედგინიძე,
წმ. ლუარსაბი I, წმ. სიმონი, წმ. ლუარსაბი II,
წმ. თედვორე წმ. არსენ გარესჯელი ექვსი
ათასი ბერმონაზონით წმ. დოსითეოს და სხ.

წმ. დოსითეოს ტფილელი და სხ. მათ ხსენე-
ბას არ ივიწყებს ქართველი ერი.—ამნაირად, სამღ-
ვდელოების მეოხებით საქართველოს ეკკლესია გარ-
დაიქცა ქართველთა ეროვნების ბურჯად, რომლის
მუდმივი მცველი და თავგამოდებული მფარველი-
მქადაგებელი შინ და გარეთ სამღვდელოება იყო
უკანასკნელ დრომდე: მან შეიმუშავა და დღემდე
შეინარჩუნა ქართველ ერის მდიდარი სამშობლო
ენა, მიწა-წყალი, საკუთარი ვინაობა და საეროვნო
ელფერი ქართველი ერი კარგად ჰხედავდა სამღვ-
დელოების ჭირნახულობასა და ამაგს, და მადლია-
ნად უხდიდა სამაგიეროს: ყველა მონასტერსა და
ტაძრებს უხვად სწირავდა მდიდრად მამულ-დედულ-
სა—მთა-ბარსა, სახნავ-სათესსა, საძოვარსა, წისქვი-
ლებსა, ვენახებსა, აგარაკებსა, მთელ სოფლებსა და
ციხე-სიმაგრეებსა. აი ამ შეწირულებათა შემოსავ-
ლით საზრდოება სამღვდელოება და ტაძრები ... ნა-

ხებოდნენ; ეხლანდელივით მძიმე ტვირთად არ აწვა კისერზედ ქართველ ერს სამღვდელოების და ეკკლესიების შენახვა. პირიქით, ეკკლესიების მოქარბებულს ქონებას სამღვდელოება ახმარებდა ობოლ-ქვრივთა, გლახაკთა გამოზრდასა და ნუგეშის ცემასა, ჰმართავდა სნეულთათვის ქსენონებსა, აშენებდა და განაგებდა ყრმათა სასწავლო სახლებსა და სხ. სამღვდელოება იყო მფარველი ყოველნაირ ხელოვნებისა: საუკეთესო მასწავლებელნი მოძღვარნი და აღმზრდელნი, ხუროთ-მოძღვარნი, მხატვარნი, მწერალ-მწიგნობარნი, მომღერალ-მგალობელნი, დურგალ-ხარატნი, კალატოზნი, მჭრელ-მკერვალნი, მხვნელ-მთესველნი, რკინა-ოქროს მჭედელნი, ზარქარნი, საწერ ტყავის მკეთელნი, წიგნთა მკაზმავნი და სხ.—ყველა ამ და სხ. ხელოსნობის ოსტატნი და საუკეთესო წარმომადგენელნი თვით სამღვდელონი იყვნენ. ამიტომ ჩვენს დიდს მონასტრებში გამართული იყო—სადურგლო-სახარატო, სამჭედლო, სამკერვალო, სამხატვრო-სამწერლო და სხ. სახლები, სადაც ყველა ხელოსანი ბერი თავის ხელობას ასწავლიდა ქართველს ახალგაზდობასა. ამავე დროს სამღვდელოება დიდის გულმოდგინებით ასრულებდა თავის მოვალეობასა და საუკეთესო მკითხველობას, მწირველ-მლოცველობასა და გალობას დიდი ფასი ედო საქართველოში; თვითოეული სამღვდელო პირი ცდილობდა ღირსი შექმნილიყო თავის საქმეში და კარგათ დახელოვნებულიყო სამშობლოს წმინდა სამსახურისათვის. თავად-აზნაურთა საგვარეულონი და სოფლის საზოგადოებანი, მღვდელმთავარნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ეცილებოდნენ—ვის უფრო უკეთესი ნასწავლი სამღვდელო პირი ჰყოლოდა თავის ეკკლესიაში მწირველ-მლოცველად. ეხლა რომ მღვლები ერთი მრევლიდგან მორეში წამ და უწამ გადადიან და შემოსავლიან ადგილებს ეძებენ, ასის წლის წინ ეგრე როდი იყო: მღვდელი სადაც გამწესდებოდა, იქ უნდა მომკვდარიყო, სხვა მრევლში გადასვლა ძალიან ძნელი იყო. ყველა საგვარეულო ზრუნავდა თავისი წარმომადგენელი აღეზარდა კარგის ოსტატის ხელში და საკუთარი მლოცველ-მავედრებელი ჰყოლოდა სახლში. ამიტომ ყველა ახალგაზდა მოსწავლე ბეჯითად შრომობდა, დღე-ღამეს სწავლაში ატარებდა და ამ შრომას უადვილებდა, ამხნევებდა იმედი საპატიო იერარქიული ხარისხის მიღებისა. ამიტომ კათალიკოზებსა და მღვდელმთავრებს უფრო მეფისა და თავად-აზნაურთა შემძლე გვართაგან არჩევდენ ხოლმე. სამღვდელოებამ შექმნა განსა-

კუთრებული საგალობელთა სხ. და სხვა კილოები
სახარების წაკითხვისა, სამოციქულოსი, საწინასწ
რმეტყველოსი, დასდებლისა, წარდგომებისა, პარ
კლისის ლოცვისა, ასამაღლებლებისა და სხ. ამ ოც
და შვიდის წლის წინათ მოსკოვის აკად
მიაში აღდგომის დღეს სახარება წაიკითხეს სხვ
და სხვა ენებზედ —სლავიანურათ, ბერძნულად
ლათინურად, სერბულ-ბოლგარულად, გერმანულ
და ქართულად. ბოლოს სიტყვა ჩამოვარდა პროფე
სორ-სტუდენტთა შორის, თუ რომელს ენაზე
უფრო სასიამოვნო მოსასმენი იყო სახარების კ
თხვა, და ყველამ ერთხმად მოიწონა ქართულ
წაკითხვის კილო. ამის შემდეგ რაღათ უნდა გვ
კვირდეს, თუ ქართულის დიადის კულტურის შ
მქნელი და მფარველი უმთავრესად სამღვდელოე
იყო და ამიტომ ისე საყვარელი და პატივცემულ
იყო ყველგან საქართველოში? რაღად უნდა გვ
კვირდეს, თუ ესრეთ სახელოვანმა სამღვდელოებ
უღრეს მწერვალამდე აღაზთოვანა საქართველოშ
სარწმუნოებრივი გრძნობა და საუკუნეთა განმ
ლობაში სახელოვნად აბრძოლა ქართველობა ვ
ლურ მტრებთან? რაღად უნდა გვიკვიდეს, თუ ს
ხელოვანმა მღვდელთმთავრებმა და სამღვდელოებ
აღზარდეს სახელოვანი მეფენი, დედოფალნი და მ
მულის-შვილნი, რომელთაც აღიდეს თვისი სამშო
ბლო და თავი შესწირეს ქართველთა საეროვნო ს
ცოცხლესა? განა ათი საუკუნის განმავლობაში ქ
რთველი ერი არ იყო ერთად-ერთი თავგამოდებულ
მფარველი მცირე-აზიის ქრისტიანეთა, ერთად-ერთ
შეუპოვარი მოპირდაპირე მოსისხლე სპარსეთის
ოსმალეთისა და დაღესტნისა?

ახლა დროა ვიკითხოთ—რა იდუმალი ძალ
ამოქმოდებდა სამღვდელოებას ასე სასიქადულ
—რა თქმა უნდა, სამღვდელოების თვით-მოქმედებ
სულის. ჩამდგმელი იყო საკუთარი კათალიკოზი
თავისუფლება ეკკლესიისა. წარსული საუკუნის დ
მდეგს რომ ისტორიის მანქანებამ ქართველთა პ
ლიტიკური თვითარსებობა შეაყენა, იმ სავალალ
დროს, მართალია, სამღვდელოება ისევ ძლიე
იყო, კიდევ დიდხანს შეეძლო სიცოცხლე, მაგ
ისევ ისტორიის მანქანებმა სძლო და დაასუსტა.

საქართველოს სამღვდელოება და რუსის ეგზარხოსები.

საქართველოს მეფე ერეკლე 1783 წ. ივლ
ში ტრაკტატით შეეკრა რუსეთის მთავრობას

ალიარა უზენაესი უფლება რუსეთის ხელმწიფისა. მაგ ტრაქტატის სათავე ადრევე იყო დაწყებული რუსეთტი და მისი შესრულების საქმე ნელ-ნელა კეთდებოდა. ქართველი მეფეები—ალექსანდრე ლევანის ძე, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, თეიმურაზ II და ერეკლე ქრისტეს მოსაენი იყვნენ, ქრისტეს მოძღვრების გარეშე იმათთვის არას ნიშნავდა არც მეფობა, არც ცხოვრება. იმათ მცბიერი პოლიტიკასა არა გაეგებოდათ რა, იმათის წარმოდგენით ქრისტეს მორწმუნე მეფეს ტყუილის თქმა არ ეკადრებოდა, არ შეეფერებოდა. ამიტომ სულითა და გულით იყვნენ მინდობილნი რუსეთის მთავრობაზედ და თავის სამეფოს ავსა და კარგს ხელის გულივით უშლიდნენ. ამიტომ ყველა ამ მაფეები მწარედ მოდუუებულნი იყვნენ მუდამ. იგინი როგორ გაიღლებდნენ გულში, რომ საქართველოს სამეფო გაძლიერება რუსეთს ხელს არ მისცემდა, რომ რუსეთი საქართველოს წამეფოს დაუძლურებას-დასუსტებას უწყობდა ხელს და მხოლოდ თავისი საკუთარი კაძლიერება ეკერა ენაზედ. ესრეთმა რუსეთის ორპოფა პოლიტიკამ ფრთები შეისხა პეტრე დიდის მოხერხებით და თავისი გაიტანა: სპარსეთზედ გამოლაშქრების დროს პეტრე დიდმა ვახტანგ VI ჩაითრია და 40 ათასი მხედრით სპარსეთთან საბრძოლველად გამოიყვანა განჯისაკენ. ბრძოლა არც კი იყო დაწყებული, რომ პეტრე დიდი უკან დაბრუნდა და საკოდავი ვახტანგ VI შეიქმნა ვერაგი პოლიტიკის მსხვერპლი. გაშმაგებულ სპარსეთს ხელი შეუწყო შინაურმა მტერმაც (კახეთის მეფემ) და ვახტანგ VI ცოლ-შვილით და ათას ხუთასი მხლებლით რუსეთში გადაიხვეწა. ეს იყო და ეს. დაიწყო დაუსრულებელი დავა ქართლის ტახტისა გამო ვახტანგის შვილებსა და თეიმურაზ—ერეკლეს შორის. ამ დავას ხელს უწყობდა რუსეთის მთავრობა და ორივე მოდავე მხარეს თავზედ ხელს უსვამდა. მოსკოვ-პეტერბურგში მეფე ბაქარი მოქმედებდა (ვახტანგ VI შვილი), საქართველოში-არჩილ მეფე (აბდულა-ბეგი), ანტონ კათალიკოზი გივი ამილახორი და პაატა ბატონიშვილი. მაგრამ თეიმურაზ-ერეკლეს მხნეობამ გასჭრა პირველში: გამჭრიარხმა ნადირ-შახმა 1744 წ. ქართლის მეფობა თეიმურაზს მისცა, კახეთისა—ერეკლეს და რუს-ოსმალთა გაელენა თავიდამ მოაშორა ქართლ-კახეთსა. 1762 წ. თეიმურაზი მოკვდა ასტრახანში. ერეკლემ ისარგებლა სპარსეთში არევ-დარევით და ქართლის სამეფოც შეიერთა. ბაქარ მეფის შვილების და სხ. გასატრიზიანებლად ერეკლემ მოიყვანა რუსეთიდამ განდევნილი ანტონ კათოლიკოზი 1763 წ. ის კი იყო შეუდგა შინაურ საქმეების გაკეთებასა, რომ პაატა ბატონიშვილის შეთქმულობა გამომჟღავნდა, მაგრამ ერეკლე მეფე თვით განზე გადგა და საერო კრებას გაასამართლებინა შეთქმულნი და თვით გაძარჯვებული დარჩა. რუსეთის პოლიტიკამ ახლა ისევ ძველ ხერხს მიმართა. ყირიმის და სხ. შავი ზღვის პირების დაპყრობის საღერღელი აეშალა და ოსმალეთან ომი მზათ იყო. პეტერბურგიდან აფრინეს შიკრიკი ერეკლე-სოლომან მეფეებთან: „არიქთ, ქრისტიანობის გულისთვის ოსმალეთს შეებმეს ომსა, ფარ-ხმალი აისხით და საბრძოლველად მოემზადეთ“. გაბრიყვდნენ საბრალო ქრისტიანე მეფეები. ერეკლემ შეჰყარა ოცი ათასი კაცი და გაემართა აწყვერისაკენ 1770 წ. მარტის გასულს. უკან გენერალი ტოტლებენი ვისდევდა რუსის ჯარით. როგორც კი დაუპირდაპირდნენ ოსმალ-ლეკის უშველებელ ჯარს საომრად, 19 აპრილს, რუსის ბრწყინვალე ჯინჯილებიანი გენერალი ტოტლებენი ჯარიანათ უკან გამობრუნდა და პირი სურამისაკენა ქნა. დიდს გაჭირვებაში ჩავარდა საცოდავი ერეკლე მეფე, მაგრამ როგორც იყო ქართველთა პირადის ვაჟკაცობის მოიმედე შეებრძოლა და სახელოვნად გაიმარჯვა 20 აპრილს ასპინძასთან, მაგრამ რა გამოვიდა? ოსმალლეკნი საშვილიშვილოდ გადიკიდა. ჯინჯილებიან გენერალს ტოტლებენს საიდუმლო დარიგება ჰქონდა მიცემული რუსეთის მთავრობისაგან: „თუ ერეკლე დამარცხებულ იყო, ან მოეკლათ, მაშინვე ქართლ-კახეთი უნდა დაიჭირა“. ეს იმედი რომ გაუცრუვდა, ახლა გადავიდა იმერეთში, გაბა ჭორები და გადაჰკიდა ერთმანეთს ერეკლე და სოლომან მეფეები..

ესე დაუსხლტა მეფე ერეკლე რუსეთის მთავრობისაგან დაგებულს პოლიტიკურს მახეს, მაგრამ სოლომონ მეფე კი ერეკლეს მტერი შეიქმნა და რუსეთის პოლიტიკის დამჭაში.

იმ ხანებში (1770—1780 წ წ.) სპარსეთში არეულობა იყო და ერეკლე მეფე დანარჩენ მტრებს ადვილად იგერიებდა. ნელ-ნელა ისე მოიმაგრა ზურგი, შინაური სამეფო საქმეები ისე მოაწყო და გაძლიერდა, რომ განჯა-ყარაბაღის და ერევნის ხანები თავის მოხარჯვებად გაიხადა, 1779 წ. გავიდა მდ. არაქსის გაღმა და მთელი ადრიბეჟანის ხანებმა თავი დაუკრეს. ორიოდე თვე რომ დასცალებოდა, მთელი სპარსეთის მბრძანებელი შეიქმნებოდა ერეკლე მეფე. მაგრამ ისევ რუსეთის ვერაგმა პოლიტიკამ შეუშალა ხელი. სად იყო, სად არა, დიგორის

გზით იმერეთში გადმოვიდა რუსეთიდამ ალექსანდრე ბატონიშვილი, ბაქარ მეფის ძე, და სოლომონ მეფის შემწეობით ქართლის თავად-აზნაურთა გადაბირებას შეუდგა. მეტი რა ღონე ჰქონდა ერეკლეს არ გამობრუნებულიყო?

რომ სამუდამოთ მოეშორებინა ვახტანგ VI შთამომავლობა და მათი დავა, აილო 1783 წ. ივლისში ტრაქტატით შეეკრა რუსეთს. საბრალო ერეკლე რას მოიფიქრებდა, თუ ეგ ტრაქტატი რა სახიფათო საქმე იყო? რა ელოდა თუ თექვსმეტის წლის შემდეგ რა შავბნელი სამარე გაეთხრებოდა საქართველოს სამეფოს თვით არსებობასა?

საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა ანტონ 1 წინდაუხედავად ხელი მოაწერა 1783 წ. ტრაქტატსა და თავისი თავი რუსეთის სინოდის წევრად აღიარა. ან ერეკლე, ან ანტონი რას მოიფიქრებდნენ, თუ ტრაქტატს როგორ გამოიყენებდა შემდეგში რუსეთის მთავრობა? ამის შემდეგ რაღა დიდი გამოცნობა უნდოდა, რომ საქართველოს სამეფოს და ეკლესიის თვით-არსებობის დღენი უკვე დათვლილი იყო.

1804 წ. საქართველოში იჯდა კათალიკოზი ანტონი II, მეფე ერეკლეს ძე. იმ დროსვე განაგებდნენ თავისს სამწყსოს მღვდელთმთავარნი — მცხეთისა, თბილისისა, ბოდბისა, რუსთველი, ალავერდელი, წილკნელი, სამთავნელი, ურბნელი, მროველი, ნიქოზელი, ნინოწმიდელი, ხარჭაშნელი, ახტალელი, ქუთათელი, გენათელი, ნიკორწმიდელი, ჭყონდიდელი, ცაგერელი, ხონელი, ჯუმათელი, შემოქმედელი და სხ. ქართველი ერი ყოველ უქმე-დღესასწაულს დღეებში ისმენდა მღვდელთმთავართა აზრით სავსე ქადაგებასა, მათს მადლით მოსილს წირვა-ლოცვასა და ერიც აკი ძლიერი იყო სულიერადაც. იგინი, მღვდელთმთავარნი კათალიკოზიანათ საკმარისს შემოსავალს იღებდნენ, თავისთვის კმაყოფით სცხოვრებდნენ და არავის დახმარებას არ საჭიროებდნენ,

იმ დროს კათალიკოზს შემოსდიოდა წელიწადში: 2,800 მან., 1,700 კოდი პური, 225 საპალნე ღვინო. ალავერდელს შემოსდიოდა წელიწადში: 1700 მ. 1040 კოდი პური, 170 საპალნე ღვინო და სხ. ეს ცნობები ახალმა მთავრობამ მოსთხოვა სამღვდელოებასა და, რა თქმა უნდა, ნაკლებია ნაჩვენები. 1815 წ. მცხეთის სვეტიცხოვლის შემოსავალი იყო: 4550 მან. 63 კაპ., 1906 კოდი პური, 520 კოდი ქერი, 534 საპალნე ღვინო და სხ.

კათალიკოზი და მღვდელთმთავარნი რომ ჩვეულებრივ განაგებდნენ თავის სამწყსოს და ეკლესიას, ამ დროს გარუსებული ციციშვილი ჩაერია მათ საქმეში — „დიაკვნები თხასავით კიკინებენ საყდრებშიო და რუსულის გალობის მსგავსად მოაწყეთ ეს საქმეო“... „ამა და ამ ადგილზე ჩემს დაუკითხავად არავინ დანიშნოთ, თორემ იმპერატორს მოვახსენებო“, და სხ.

ციციშვილი სახელოვნად იმარჯვებდა საეკლესიო საქმეებში და მისის მოხერხებით ნელ-ნელა დაიხურა სამღვდელთმთავრო კათედრები. საუკუნეთა განმავლობაში მეფეთა და თავად-აზნაურთაგან შეწირულნი ოქრო-ვერცხლის მრავალი საგანძური ჩამოიტანეს ტფილისში და ნაწილ-ნაწილად დაყიდეს საჯარო ვაჭრობით (ტორგით). დაიხურა 2 სტამბა, ორი სემინარია, მონასტრები, სასწავლებლები, სადაც სამშობლო ენაზედ ასწავლიდნენ — ღვთის-მეტყველებას, ფილოსოფიას, ისტორიას, რიტორიკას, გეოგრაფიას, ანგარიშს და სხ. საუკეთესო სამღვდელო პირები რუსეთისკენ გაისტუმრეს, მღვდელთმთავრებიც რამდენიმე იქით გაგზავნეს. მთელი სამღვდელოება შეძრწუნდა. თვით მშვიდი და კეთილი კათალიკოზი ანტონი II განშორებულ იქმნა თავის შეტკბობილ სამწყსოდგან და თექვსმეტის წლის ტყვეობის შემდეგ დალია ვნებული სული ნიჟეგოროდში, დაინიშნა ექსარხოსად რუსთაგანი თეოფილაქტე და მწკრივ-მწკრივად გამოემართნენ რუსის მოხელეებიც სასულიერო გამგეობისათვის...

გაიხსნა ახალი სემინარია, სასულიერო სასწავლებლები, სადაც ქართულის ენის სწავლება მაშინვე ჩამოქვეითდა. თვით ქართველ მოსწავლე ბავშვების ბედიც თანდათან შეიცვალა და დღეს ტფილისის სემინარია და სასულიერო სასწევლებელნი, თუმცა საქართველოს ეკლესიებისა და სამღვდელოების ხარჯით ინახებიან, მაგრამ უფრო მეტი რიცხვი სხვა თემისანი იზრდებიან. შესწყდა სამღვდელოთა და სხ. შვილთა აღზრდა-სწავლება საერო ნიადაგზედ და ამით გადაგვარდა კიდეც ახალი სამღვდელოება.

უცხო ენაზედ ნასწავლმა სამღვდელოებამ უცხოურად იწყო ფიქრი, წერა და ცოხვრება. ესე გადაგვარებული სამღვდელოება ქართველ ერსაც ეუცხოვა და ალმაცერად ყურება დაუწყო. ამ გადაგვარების დროს სამღვდელოებას ხელიდან გამოეცალა საეკლესიო მამულები და ხაზინა დაეპატრონა მას; ხალხმა გაიგრილა გული თვით ეკლესიაზე, სამღვდელოებაზე და ნდობა დაეკარგა. ძვე-

ლი მუშაკი სამღვდელონი თითო-თითოდ ჩავიდნენ სამარეში და მათ მაგიერ ჩადგნენ ხალხის სულიერ მწყემსებად ახალნი „სემენარისტნი“, რომელთაგან ბევრმა რიგიანი ქართული კითხვაც (ხუცურ-მხედრული) არ იცოდნენ. ხალხისთვის უცნობნი იყვნენ იგინი და ხალხი მათთვის. უწინ რომ საგანგებოთ მომზადებულნი პირნი კისრულობდნენ ეკკლესიისა და ერის სამსახურსა, მეცხრამეტე საუკუნის მეოცე წლებიდგან უფრო უმეცარნი და უვარგისნი შედიოდნენ სასულიერო სამსახურში, რა კი მეტი ილაჯი არა ჰქონდათ და საზოგადო ცხოვრებაშიაც გამოუსადეგარნი იყვნენ, და საერო საქმისა არა გაეგებოდათ რა. ამისთანა სამღვდელონი ბევრნი ჭღალატობდნენ კიდეც თავის ქვეყნის საქმესა და მთავრობა ჰკერძავდა მათ კარგს შემოსავლიანს და საპატიო ადგილებსა.

ახალ სამღვდელოებას გაუტკბა ზარმაცობა, დაკარგა ძველებურ უნარი თვით მოქმედებისა, თვისი წმინდა საქმე დაივიწყა, ზურგი შეაქცია ძველ სასულიერო ისტორიულ ტრადიციებსა და სრულიად დაემორჩილა სხვის ბრძანებლობას და ნელ-ნელა „ჩინოვნიკად“ გადაიქცა: სასულიერო მთავრობამ პოლიტიკას მიჰყო ხელი და თავის მოსაზრებათა აღმასრულებლად სამღვდელოება გაიხად. თავის ხელით არას აკეთებდა და ხალხის მძიმე ტვირთად შეიქნა. აუტანელმა ხარჯთა და გადასახადთა მუდმივმა ზრდა, ხშირმა დარბევამ და აკლებამ ხალხი თანდათან გააღატაკა და ლუკმა-პური დაუძვირდა, ხელში აღარა შერჩა-რა. ამის შემდეგ სამღვდელოებას როგორღა შეინახავდა?

ამავე დროს თავად-აზნაურობაც დაეცა, გაღარიბდა, დაკარგა თავისი გავლენა. ბატონ-ყმობის ბოქიგადავარდნამდე მამა-შვილურად მცხოვრებნი თავაზნაურნი და გლეხნი შემდეგ ერთმანეთის მტრად გადააქცია, ახალმა წეს-წყობილებამ ერთმანეთის ბოქიპენებად გარდაჰქმნა და სამღვდელოებას მხარი აუკრეს ერთმაც და მეორემაც. თავად-აზნაურობა დაიტვირთა დიდის ხარჯებით, გარდასახადით. უცხო ცხოვრებამ გლეხებიც ხარჯები გაუორკეცა და საამულ-დედულო საქმეები აეწეწა და თავში საცემი ეაუხდა. ხაზინამ თავისი მძლეთა-მძლე ჩინოვნიკების პირით ხელი წაატანა ყველგან თავად-აზნაურთა და გლეხთა საკუთარ მთა-ბარსა და სადაოდ გახდა. ეაება გაუთავებელი დავები და მათს დაბოლოვებას ლაშის შვილის-შვილი ვეღარ შეესწროს. ამ უსამართლო დავების წარმოებამ ჩვენი შეძლება შთანიქა, ბევრი შეძლებული ოჯახი მიწასთან გასწორა.

დღეს ამისთანა გაჭირვებაში მყოფს ქართველ ერსს ურწმუნოებას სწამებენ კიდეც, გულგრილობას უკიჟინებენ—ეკკლესიაზედ და სამღვდელოებაზედ ხელი აიღოვო... მერე სხვა რომელმა ერმა აიტანა ამოდენა უსამართლობა, ამოდენა დამცირება? არა, ქართველი ერის მოთმინება უზომოა მთელს ქვეყნიერობაზედ!.. სამღვდელოებამ ხელი გაუწოდა შემწეობისათვის მთავრობას, მაგრამ რა გამოვიდა, დღეს მომეტებული ნაწილი საცოდავის სამღვდელოებისა ხაზინიდგან იღებს წლიურ ჯამაგირს 70—100 მ. უმცირესობა კი ოცდა-ხუთიდგან—ოცდაათამდე თუმანს. ამ უარარაობის დროს სამღვდელოებას დააწვა კისერზედ უსარგებლო ხარჯები უსარგებლო სემინარიისა და სასწავლებლების შესანახად: სამღვდელოება და ეკკლესიები იხდიან ფულებს ყოველწლივ მათ შესანახად და, უსარგებლოდ რათ იხარჯება, ამისას კი არასა ჰკითხავენ; რას ასწავლიან, რას არა—მაგისიც არა იცის-რა სამღვდელოებამ: გარდაიქცა სამღვდელოება **მეწყალ ფურად**, საპარს ცხერად და გამოიფიტა მისი ჯიბე და სახლი. ამისთანა უბედურებაში, რა თქმა უნდა, სამღვდელოებამ დაჰკარგა სასოება უკეთესის მერმისისა, იმედი გადაუწყდა და ღმერთს მიანდო თავისი უსამართლოდ განადგურების სამართალი!... ნუღარ ვიტყვით, რომ ჩვენი განათლებული საზოგადოება სრულიად განშორდა ეკკლესიასა და სამღვდელოებასა. მაგრამ კარგად ვიცით, რომ მაგ განშორების მიზეზი ჩვენის ჩვენის სამღვდელოების გადაგვარებაა, და არა სარწმუნოებრივი გრძნობის შესუსტება. ქართველი ერი უწინაც და ეხლაც ღრმად მორწმუნეა, თავის დღეში ურწმუნოებას არ შეუშფოთებია მისი გული, და იმედია არც კვლავ უღალატებს ქრისტეს ციურ მოძღვრებასა.

თუ ქრისტე ურიათა მღვდელ-მოძღვრებსა და ფარისეველებს ამხილებდა და ებრძოდა, განა დღეს ქრისტეს მოძღვრების ღრმად მორწმუნე ქართველი ერი მათზედ ნაკლებს მღვდელ-მოძღვრებს ებრძვის? მაგრამ დღევანდელი საერთო ჭირ-ვარამი ბევრს კუზიანს გაასწორებს, ბევრს ბრჯას აუხელს თვალსა. ღღეს უტყუარ ნიშნებსაც ვხედავთ, რომ ჩვენი სამღვდელოება გრძნობს თავის ნაკლსა და შეუდგა კიდეც მაგ ნაკლის შევსებასა, ძველ შეცთომათა გასწორებას. მართლაც და, ვინ დაუშლის ჩვენს სამღვდელოებასა სულიერად განახლების გზას დაადგეს და წინაპართამებრ სათაყვანებელი შეიქმნეს მთელი ქართველი ერისათვის? ოღონდაც! ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს, რომ ასის წლის განმავ-

ლობაში გონებრივ-ქონებრივად გაღარიბებული სამღვდელოება მობეზრდა—ქონებრივად გაღატაკებულს ქართველობასა. თუ უწინ კეთილდღეობის ჟამს სამღვდელოება წინ უძღოდა ქართველს ერსა და საერო დიდების დროშას ორივე ერთად ატარებდნენ, დღესაც ამ უბედურს დროშიაც ხომ გაჭირვების ჭაპანს ერთად ეწევიან? ვისთვის რა საკვირველია, რომ სამღვდელოებამ მარტოდ-მარტომ ატარა დღემდე დიდი საერო საქმე და ბოლოს თვისთაგან უმწეოდ დატოვებულმა ხელი აიღო უსარგებლო ბრძოლაზე და დაფერფლილი ნაკვერჩხლივით მინელდა?

მოვიგონოთ ტრიფილე, იოანე ოსეს ძე, მარიამ მოლოზანი, დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გენათელი, მღვდლები მაისურაძეები, ჩახტაურები, ბესარიონ ბერი, ფილადელფი კიკნაძე, იონა ხელაშვილი, გრიგოლ და ტარასი არხიმანდრიტები და სხ. მრავალნი. მათი თავგადასავალი ქვას ატირებს, მაგრამ მათს დუხჭირობას ზედაც არავინ შეხედა და მათთვის თავი არავინ გამოიდო. ახლა დროა ჩამოვთვალოთ რუსის ეგზარხოსების „საქმენი საგმირონია“!

1801 წ. იანვარში რუსეთის მართებლობა ჩადგა საქართველოში, და თავისუფლად დაიწყო მოქმედება. ჩამოვარდა სამეფო ოჯახში დიდი არევ-დარევა, გაჩნდა მაბეზღრობა და ბევრმა დაიმშვენა გული ზიზილ-პიპილა კავალერებით. გარუსებული ციციშვილი ბეჯითად შეუდგა აჯანყების ხელოვნურად შექმნასა და ჩაქრობასა. ჯარის კაცნი სახლში უხდებოდნენ დედოფლებს და ბატონიშვილებს. ამ მოხერხებით სამეფო ოჯახისშვილნი თითო-თითო გაისტუმრა რუსეთისაკენ, დარია და მარიამ დედოფალნი ყარაულ ქვეშ გაგზავნა იქვე. ამავე დროს ბევრგან ქართლ-კახეთში შემოდგომაზედ სადაც აუცილებლოდათ მოთარეშე ლეკებს, იმ სოფელში დაიზამთრებდნენ ხოლმე და საცოდავ ხალხს ატყავებდნენ. ამ მოთარეშე ლეკების გაძევების მაგიერ რუსის ჯარი თბილათ იყო დაბანაკებული ტფილისში და ქართველ თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას დასდევდა და იკლებდა, ვინც კი გაბედავდა ტრაქტატის დარღვევასა და ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის ერთგულებასა. ტრაქტატის ძალით მეფობა არ უნდა მოშლილიყო. მაგრამ ვინ დაგიდევდა. პირ იქით, ახალმა მთავრობამ ხელი წაატანა საეკლესიო საქმეებსა და ბოლო მოუღო ათის წლის შემდეგ (1811 წ). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობას (თავისუფლებას). ციციშვილმა ზედიზედ გააუქმა სამღვდელთმთავრო საყდრები, კათალიკოზის საქმეებში ერეოდა და მოსვენებას არ აძლევდა. სამღვდელონი პირნი იტანჯებოდნენ და ხსნა არსაიდგან იყო.

სახელოვანი სიონის დეკანოზი იოანე ოსეს ძე ჯარის კაცებმა გატყიპეს და ანაფორა ზედ შემოახიეს და მარტყოფში დააპატიმრეს ბატონიშვილის იულონის ერთგული რათა ხარო. კათალიკოზის დეკანოზს სოლომონს ჯარი ჩაუყენეს სახლში და შეურაცყოფა მიაყენეს. ყველასაგან პატივცემული მეცნიერი მღვდელ-მონოზონი იოატის ანდრონიკაშვილი შეურაცყვეს ცემა-ტყეპით და ციხეში ჩასვეს —ტრაქტატის დარღვევას შენ ვინ გკითხავსო. არსენ თბილელი აჩივლეს ანტონ კათალიკოზზე, მთავრობა ჩაერია ამ საქმეებში და თვალცრემლიანს ანტონ კათალიკოზს ნიჟნი-ნოვგოროდში ამოაყოფინეს თავი.

1814 წ. დაიხურა სასულიერო დიკასტერია (სასამართლო) და მის მაგიერ **1815** წ. გახსნეს სინოდის კანტორა. **1811—1816** წ. საქართველოს ეკლესიის გამგებლად (ეგზარხოსად) დანიშნეს ვარლაამ ერისთავი. მაგრამ ხუთი წლის შემდეგ გადაჰკიდეს ერთმანეთს ვარლაამი და დოსითეოზ ფიცხელაური და ერთმანეთი ამოაჭმევინეს: ერთიც დაითხოვეს მეორეც. ეგზარხოსად დანიშნეს თეოფილაქტე რუსანოვი **14** მაისს **1817** წ. თეოფილატემ თან მოიყვანა მთელი რაზმი მოხელეებისა—მღვდლები, ბერები, მწერალ-მწიგნობარნი და სხ. საეგზარხოსო კანცელარიის მმართველობა თავის ძმას უბოძა, ახლად გახსნილი სემინარიის რექტორობა ბერს ვიტალის, სიონის დეკანოზობა მღვდელს ალექსანდრე ფედოროვს [1]). აავსო კანცელარია და კანტორა რუსის მწერლებით და „სტრაპჩებით“ თეოფილაქტე თვით რჯული იყო, მისი ყოველი სახელდახელო ფიქრი და სიტყვა საქმე იყო. მოვიდა თუ არა, მეტად ცივი სუსხი მოიტანა, ყველა მის ყურ-მოკრილ ყმად უნდა გადაქცეულიყო.

1817 წ. **1** ოკტომბერს გახსნილს სემინერიაში (ქართველი სემინარია მოშალა) დაიწერა სხვათა შორის სლავიანური საეკლესიო გალობის სწავლე-

[1]) ორი წლის განმავლობაში ამ დეკანოზს ცოლი და შვილი დაეხოცა. ხალხი ამბობდა—სიონის ღვთის მშობელს რუსი—დეკანოზი არ ენახა და მაშ რა ხეირს დააყრიდაო. $^{12}/_{11}$ სექტემბერს 1828 წ. ეგზარხოსმა იონამ ბერობა შემოსა (ანტონი უწოდა), არხიმანდრიტათ აკურთხა და დავით გარეჯის წინამძღვრობა უბოძა. მოხუცი ილარიონ ვაჩნაძე არხიმანდრიტი კი გაძევა.

ბა. ქართული გალობისა და ენის ხსენება კი არ-
სად იყო.

თეოფილაქტე შეეხო ქართველი ერის ცხო-
ერებას ცეცხლითა და მახვილით და სადაც წინა-
ღმდეგობა დახვდა—მუსრი გაავლო.

1) სადაც კი სამღვდელთმთავრო საყდრები
და მონასტრები იყო, რუსის მთავრობამ გაუქმა;
სამღვდელთმთავრო ხატი და ჯვარი და სხვა სამ-
კაულნი ნივთნი ეგზარხოსის თეოფილაქტეს, იონას
და სხ. ბრძანებით ტფილისში ჩამოზიდეს და რა
რა უყვეს, რა არა—ღმერთმა უწყის.

ა) 1812 წ. კახეთში აჯანყება მოხდა. ალექ-
სანდრე ბატოიშვილი გამაგრდა ს. შილდაში. 20
სექტემბერს რუსებმა გაიმარჯვეს. ამ დროს ორმა
სალდათმა როგორღაც ხელთ იგდეს ძვირფასად
შემკული სამღვდელთმთავრო გვირგვინი და რა
კი დამალვა ძნელი იყო პოლკოვნიკს ტიხანოვსკის
მიართვეს, ამან მთავარ მართებელს რტიშჩევს წა-
რუდგინა. გვირგვინი ეგზარხოსს ვარლაამს გაუგზა-
ვნეს 5 იანვარს 1813 წ.

ბ) თეოფილაქტემ, გორის მაზრის ს. ბეყმარში,
თირის მონასტერში გააგზავნა. წინამძღვარმა
დეკანოზმა იოსებ ელიოსიძემ თეოფილაქტეს მოახს-
ენა 14 აგვისტოს 1818 წ.: თირის მონასტრის ხატი
და ჯვარი ქვემო ხვითის საყდარში ასვენიაო,
მღ. გრიგორ ეფემიაშვილის ხელში. ამაზედ თეოფი-
ლაქტემ მისწერა 7 იანვარს 1819 წ. № 10 არხი-
მანდრიტს ნიკიფორეს: ეგ ნივთები თუ მართლა
ქვემოხვითის ეკლესიაშია—მღვდლიანათ აქ წარ-
მომიდგინეთო. ნიკიფორემ მოახსენა პასუხად—
„ხატი და ჯვარი თქვენ ამ დამნებესო, მონასტ-
რიც წვანია და ხატი და ჯვარიცაო. თუ ძალა გაქვს,
შედი და გამოსწვნეო.“ თეოფლაქტემ შეუთვალა—
„დაეხსენ, დროამდე დარჩესო“. ცოტას გაწყდა,
სისხლის ღვრა არ მოხდა...

გ) თეოფილაქტემ ტორგით გაყიდა 1820 წ.
საეკლესიო მამულები ტფილისში—სიონის ქარვა-
სლა (არწრუნმა იყიდა); რეზისის მეტოქი, მუხრა-
ნიანთ ხიდთან; რუსთაველის მეტოქი ქვემო ავლაბა-
რის ხიდთან; დაით გარეჯის მეტოქი სიონს ზევით
ხარფლებში ხუთი დღიური მიწა (ბერძნების საყდ-
რის ზევით) და სხ.

დ) 1818 წ. თეოფილაქტემ ჯერ ქართლ-კახე-
თში, და მერე იმერეთში, შტატები დააწესა და
ნახევარზე მეტი სამღვდელო პირნი ცის ანაბარა
გაუშვა; დაწესა ნიხრი, თუ რა უნდა ეძლია მრე-
ვლს მღვდელ-დიაკონისთვის და სხვა.

ე) თეოფილაქტემ დაიწყო საეკლესიო მამუ-
ლებისა და ქონებისა აღწერა ქართლ-კახეთში და
დიდი დავიდარაბა ასტყდა. რომ მთავრობას მხარი
მიეცა—მოახსენა: **კარგი იქნება სეკულარსაო მამულები
ხაზინას გადაეცესო.** მერე იმერეთში გააბა ერთი ეაი-
ეაგლახი. გონიერმა მთავარ მართებელმა ერმოლო-
ვმა ბევრი ურჩია-თავი დაანებეო, მაგრამ არა ქნა
რა. მოხდა საშინელი **სეკულარსაო აჯანყება** გურია-იმე-
რეთში. აჯანყების მოთავეებად თეოფლაქტემ დაა-
სახელა მთელ საქართველოში ყველასაგან პატივცე-
მული მიტროპოლიტები—დოსითეოს ქუთათელი
(წერეთელი) და ეფთვიმე გენათელი (გურის ერის-
თავი); ორნივე დააჭერინა მთავრობას და რუსეთში
გააგზავნინა. გზაში იმდენი სცემეს, ისე აწამეს, რომ
დოსითეოსი სურამშივე მიიცვალა, ჩადვეს ტომარა-
ში და ანანურში ჩაფლეს მიწაში. ეფთვიმე კი მი-
იყვანეს ნოვგოროდის ალექსანდროსვირსკის მო-
ნასტერში და იქ მიიცვალა 21 აპრილს 1822 წ
ეფთვიმესთან ერთად გაგზავნეს რუსეთში მისი სი-
ყრმიდგან შეზრდილნი, ერთგულნი მხლებელნი:
იღუმენი ნიკიფორე, მოძღვარი მღ. მონაზონი იონა,
აზნაური ივანე აბულაძე, მახარე სანებლიძე, სახე-
ლოვანი არხიმანდრიტი ზაქარია და სხ. ვინ მოსთვ-
ლის რამდენი სხვა სამღვდელო და საერო კაცი
გადაღუპეს შორეულ ჩრდილოეთში, რამდენი გაწ-
ყვიტეს, რამდენი სოფელი აოხრეს. გურიას დღსაც
ახსოვს პუზირევსკის და ველიამინოვის მაშინდელი
სუსხი. თეოფილაქტემ მაინც გული ვერ იჯერა სა-
ქართველოს სამღვდელოების და ეკლესიის დაჩა-
გვრით.

ვ) 1819 წ. ორი ქართული სტამბა მუშაობდა
ტფილისში, ორივე დააკეტინა მთავრობას. ერთის
წლის უკან, 1821 წ. თეოფლაქტემ მოითხოვა სტა-
ბის იარაღი და მოწყობილობა კავკასიის კორპუ-
სის შტაბიდგან და სიით გამოუგზავნეს ეგზარხო-
სის კანცელარიას.

ზ) 1819 წ. თეოფილაქტემ დატანჯა საქართ-
ველოში წმინდა კაცად ცნობილი განდეგილი ბერი
ბესარიონ ფავლენიშვილი. ჩამოაყვანინა ფეხით სტე-
ფან-წმიდიდგან, გაასამართლა კანტორაში და გი-
ჟებში ჩეთვალა. მერე გადუწყვიტა შიო-ღვიმეში
დამწყვდევა. ახლა აქ გადაეკიდა სემენარიის რექტო-
რი არხიმანდრიტი ათანასი, წინამძღვარი შიოღვი-
მისა, ქვათახევისა და დარიის მონასტრებისა. გაა-
ძევეს ქართლში, ს. ერედვში, სადაც ერთ ღამეს
მოკლეს და იქვე საყრდაში დაასაფლავეს. დღესაც
მისს საფლავზედ ლოცულობენ ბევრნი.

(ᲐᲐ) თეოფილაქტეს მიხედვით ეგზარხოსი იონაც რუსის ბერებს არხიმანდრიტებს აძლევდა მონასტრებს საჭმელად. სემენარიის რექტორად იონამ დანიშნა თან მოყვანილი ბერი ირინეოსი, აკურთხა არხიმანდრიტად და ჩააბარა წინამძღვრობა ქვათახევისა, შიომღვიმისა და დარიისა. ირინეოსი ძალიან მტერი იყო საზოგადოდ ქართველი ბერ-მონაზნებისა: მისი ფიქრით ის ქართველი ბერი იყო პატივისაცემი, რომელმაც რუსული იცოდა და მისი მოჩილი იყო. ქართველთაგან პატივცემულ ბერებს გიჟებს და სულელებს ეძახოდა, ოფიციალურ მიწერ-მოწერაში. ქვათახევის მონასტერში 1808—1822 წ. მხოლოდ ერთი მოხუცი ქართველი სერაფიონ ბერი იყო, უელიდა და ჰპატრონობდა ლეკთაგან აოხრებულს მონასტერსა. 17 თებერვალს 1822 წ. ირინეოსი სწერს კანტორას სერაფიონზე: „..скудоуменъ и престарѣлъ, а потому малонадоеженъ и къ церковному служенію". ამავე დროს შიომღვიმეში 13 ბერი იყო. ამათში მხოლოდ ერთი მოსწონს: მღვდელ-მონაზონი იოანე... „რუსულად წიგნ ლოგვ შეუძლია". საზოგადოთ ქართველ ბერებზე და გალობაზე კი აი რა მოხსენება მიართვა ეგზარხოსს: „...по неименію въ Грузіи образованныхъ манашествующихъ, которыхъ все знаніе состоитъ въ чтеніи церковныхъ книгъ, а нѣкоторыхъ въ письмѣ и пѣніи, каковые же называются учеными; пѣніе ихъ притомъ такое, которымъ гораздо легче отвратить русскихъ, нежели привлечь".

იმავე დროს, 27 თებერვალს, კანტორამ მისწერა ირინეოსს უქაზი: „ქვათახევის ქონება ტფილისში გადმოიტანე; თუ დაგაკლდეს რამე დარიის ფერის ცვალების მონასტრისთვის, ნაკლი შეავსე შიომღვიმის უდაბნოს ქონებიდგან, სადგ ეკლოთუ რა ბეკრაა".

(შემდეგი იქნება)

როგი და ქრისტიანობა საქართველოში.

„ხოლო ნეტარმა მიუგო, ვითარმედ ჰო მეეფო, ვინაიდგან ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა პირველ და მრავალ გზის მიდრეკს; ამისთვისცა შეგაესად თქენსა ღვთის მსახურთა მეფეთა წმინდანი კრებანი შეჰკრიბეს და წვალილად გამოიძიეს განგებულებისათვის ქრისტეს ღმერთისა ჩვენისა და ხორცელად გამოჩინებისათვის მისისა და საუფლოთა მათთვის ხორცთა გამოძიება იქმნა დაიწესეს, რათა მივიღებდეთ ცომსა სახედ ხორცთა ქრისტესთა, ხოლო პურის ცომსა სახედ სულისა [1]) გონიერისა, წინაალმდგომ წვალებისა უსჯულოსა აპოლონარსა, რომელიც იგი ხორცთა მათ ქრისტესთა საუფლოთა უსულოდ და უგნებოდ იტყოდა უგუნური იგი და უსულო. ხოლო ღვინოსათანა წყალს ურევთ სახელ სისხლისა და წყლისა, რომელი გარდამოხდა გვერდსა მხსნელისასა, ვითარცა იტყვის იოანე ოქროპირი. ესე არს განმარტება და მიზეზი ამათ საქმეთა. ხოლო რომთა, ვინათგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არაოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალება შემოსულ არს მათგან და ვითარცა იგი მაშინ თავმან მოციქულმან პეტრე შესწირა უსისხლო იგი მსხვერპლი და უმეტეს ვითარცა თვით თავადმან უფალმან მისცა მოწაფეთა ლამესა მას სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ იგინი და არა არს მასშინა განყოფილება... მაშინ მეფე აღივსო სიხარულითა და მადლი შესწირა ღმერთსა". სამოთ 474. 475, გ.

ვიდრემდის გყავდა კარგად სწავლულნი ღვთისა და კაცთ მოყვარე მეცნიერნი მოძღვარნი, წდ. მამა გიორგი მთაწმინდელის კათოლიკურს გზა-კვალზედ მავალნი, მტკიცედ მდგარვართ მამა პაპურს ქრისტიანურს სარწმუნოებაზედა და რა მოგვკლებია მისთანა სამღვთოდ თავგანწირულნი ღირსნი პირნი, ნელ-ნელა გაგრილებულ, გავციებულ ვართ და სხვათ სალაპარაკო და ყბად ასაღები გამხდარ ვართ, როგორც დავით მეფე აღმაშენებელის დროს, ბერძნების საზღვრების მახლობელ აფხაზებს და მისთანებს ქრისტიანად აღარ თვლიდენ მოყვარედ რომის კათოლიკეთა, იქამდის ვიდრე იმ დროინდელ იოანე საფარელ კათოლიკოსმან მიანდო ამის გამოკვლევა ეფრემ მცირე მღვდელ-მონაზანსა რუსის წდ. კრების წინად და მანც დროით რა შეასრულა მისი მინდობილობა, მიართვა შეკრებილნი ნამდვილი ცნობები ესრეთი ზედ წარწერით: „ესე მცირედნი სიღყვანი, ვითარცა თესლის მკრეფელმან მიმოგანთესულნი წმინდათა წერილთაგან ერთად შემოვჰკრიბენ ჯერ ჩინებითა კაცთ ღვთისათ. რომელმან ეგე უწყი, ვითარ მრავალნი მრავალ გზის ამათ პირთათვის გვკითხვიდეს და დაბრკოლდებოდეს ჩვენთვის უმეცრებით, ვითარცა თვით განდგო-

1. ზედაშეში წყლის შერევა. 1. ალექსანდრე პაპმან განაწესა 110 წელსა, რაც კოსტანდინე დუკინს არ სცოდნია. მხოლოდ გრიგორიანი სომხები არ ურევენ წყალსა ქ. ბ

მილთა საყდრისაგან დიდისა პეტრე მოციქულთა თავისა; რომელნი კვალად გულსავე ჰყვნა და აღაშენნა ესე ვითართა თხრობათა პოვნითა!“ ქრონიკ. ორდ. 53. გ.

მართლად, 1103. წ. რუისის შემდგარი კრების ძეგლწერილის წინასიტყვაშივე გამოთქვეს შეკრებილ მამათა თავიანთ წდ. სულ-გულის მართალი დადგენილება ასრე: „ამისთვის შემოკრბა კრება ღვთის მოყვარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღვდელთა და ღირსთა დიაკვანთა, ქრისტეს მოყვარეთა მონშზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა ანაბეგთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუისისა და ურბნისისა, გარნა არა თუ უბიწოებისა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რამე შეხებოდა, ნუ იმყოფინ ესე, არა გეცრუენეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა გაგცეთ შენ სიქადულო ჩვენო მართლ-მადიდებლობაო, რომლისა არცა გამცემელ ვქმნილვართ. ესწამე არს ჭეშმარიტებაო;“ მით დავით მეფე აღმამენებელი თავის დაწერილ სინანულის გალობაში ასრე ეუბნება ღმერთსა: „ღმერთო მაცხოვარო ჩვენო ყოვლისა დამბადებელო, რომელმან სიტყვით დააარსენ ცანი მაღალნი ყოვლითა ძალითა მათითა და სულითა მით საღვთოთა, დამამტკიცენ ჩვენ კლდესა ზედა სარწმუნოებისასა საშოთ.“ 523. 514. გ. ასრევე ეფესელის მამის მეფე გიორგის, თანამედროვე ნიკოლოზ კათალიკოზი სწერს კათოვიკე ეკლესიის ქებაში: „გიხაროდენ ჰო კათოლიკე ეკლესიაო, რამეთუ პირველი უკვე შენდა მიმართ იყო დაწყება სიტყვისა, ვინათგან პირმშოება შენ შორის საცნაურ იქმნების მორწმუნეთა ერისავან, რამეთუ შენ შორის შემოხველ ვიქმენით ნათელსა მას ქრისტეს მიერსა და ღმერთი მარადის შენს შორის მკვდარ არს, ვითარცა იწოდებიცა საყდარი ღვთისა და წმიდა წმიდათა... გიხაროდენ ჰო კათოლიკე ეკლესიაო ღვთისაო რომლისა დამფუძნებელმან ყოველთამან ღმერთმან, საფუძვლად შეუძვრელად სიმტკიცისად წმიდანნი მოციქულნი დაგიხსნა ქვეშე სიტყვისაებრ საუფლოსა, ვითარცა ბრძანა თავსა მას მოციქულთასა პეტრეს, ვითარმედ, შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, რომელსა ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიანო; საშოთ. 113. კ. ნიკოლოზ 1160 წ. გარდიცვალა. აქედგან სჩანს თუ რამოდენა მეტად იწრო გულითადი რწმენა და მტკიცე მიმართობა ჰქონიათ ჩვენთ მესხ-ქართველობის წინაპარ სასულიერო წოდებას რომის კათოლიკე ეკლესიასთან, რომ მთელ მოციქულებს წდ. პეტრეს ერთის ეკლეს[illegible]ყდრის ქვეშ[illegible]ომად აღიარებენ, როცა თვით მოციქულნი წდ. პეტრე მთავარ მოციქულის ქვეშ[illegible]ომნი იყვნენ, რაკი[illegible] მათგან გაქრისტიანებული სხვა და სხვა ქვეყნის ტომთ ეკლესიანი მათი კრებულებით წმ. პეტრეს ეკლესიის და ტახტს ქვეშ[illegible]ომნი უნდა იყვნენ და მის მონაწილეობაში შეერთებულნი. მისგამო იწოდებოდა და წოდებულია მთელ ჩვენ ძველს მწერლობაში მცხეთის ეკლესია კათოლიკე ეკლესიად ასრევე ყოფილან სხვა ტომთაც დედა ეკლესიანი.

მართალია ჩვენი ქართველთ მართლ—მადიდებლობა სიტყვით აღიარებს კათლიკე ეკლესიას. პატივისცემით იხსენიებს წირვაში, ლოცვაში, აღსარებაში, მაგრამ საქმეში დაშორებულია. აი რას სწერს მაზედ სამღრთო ლიტურღიაში: „მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას მსხვერპლსა სოფლისთვის და წმიდისა კათოლიკე: „ და სამოციქულო ეკლესიისათვის“... ოქრო პირი.— „მერმეცა გევედრებით“, მოიხსენიე უფალო შენი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია კიდითგან ვიდრე კიდემდე სოფლისა“. ლიტურღია ვარლისა. მრწამში ვამბობთ.„ ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. მღვდელნიცა და ერნიცა. ასრევე კათეხიზმში: „ აღვიარებთ, ვითარცა მტკიცესა ჭეშმარიტებასა. რომელ კათოლიკე ეკლესიასა არ ძალ-უძს შეცოდება, ანუ შეცთომა, და წარმოთქმა ტყუილისა ნაცვლად ჭეშმარიტებისა; რამეთუ სული წმიდა სამარადისოდ მომკმედი, სარწმუნოთა მსახურთა მამათა და მოძღვართა მიერ ეკლესიისათა ჰსცავს მას ყოვლისაგან ცთომილებისა. „ეპისტ. აღმოს. პატრ. მართლმადიდ. სარწმუნ. წევრ. იბ. საღამოს ლოც. პირველად მოიხსენიე უფალო შენი წმ. კათოლიკე სამოციქულო ეკლესია, რომელი პატიოსნითა სისხლითა შენითა მოიყიდენ, დაამტკიცენ, განაძლიერენ, აღამაღლენ, განამრავლენ, მშვიდობით დამყარებულ ჰყავ წარმართთა ზედა მოსვლისაგან განათავისუფლე, და უძღებისა ჯოჯოხეთისა ბჭეთაგან უკუნისამდე დაიცვენ, მწვალებელთა გესლოვანება განაქარვენ და მეტყველება მათი ცუდ ჰყვენ ძალითა წმიდა სულისა შენისათა მოაქციენ იგინი“. მერმე ეს ლოცვა ყოველ საღამ საოქმელია სახლებში სავალდებულოთ ერთა თუ ბერთა. განწესებულია, მაგრამ ვინ ასრულებს თითქმის აღარავინ და თუ დარჩენილია თითო ოროლა მცხოვრებლებში და ასრულებენ, ამბობენ მაგრამ ახსნილი რომ არა აქვთ სასულიე-

როთაგან. არაფერი არ ესმით თავიანთ ნათქვამისა და რას ჩახვდებიან? აი რას გვასწავლის ალექსანდრის პატრიარხი წმ. ათანასი: „რომელსა უნდეს ცხოვრებად, პირველ ყოველთასა თანა აძევს მას პყრობად კათოლიკისა სარწმუნოებისა, რომელი უკეთუმცა ვინმე არა დაიმარხოს შეუმრღვეველად და უბიწოდ თვინიერ ყოვლისავე რაისამე მიზეზისა, საუკუნოდ წარწყმდების იგი. „კათოლიკობა ქართველთა თამარ მეფის დროს შეირყა, როცა მან კანონიერი ქორწინება დაარღვია, პირველი ქმარი გიორგი რუსი, ანდრია მთავრის შვილი დააგდო და ოსების მეფის შვილი დავით სოსლანი შეირთო უჯერო ქმრად, ნაშვილები თავის მამიდის რუსუდანისა, რომელთან თვით თამარიც იზრდებოდა, როგორუ ამის წინად ვსთქვით, მრუშაობისთვის ცოლქმრის კავშირის დარღვევა, ბერძნების საკეისრო სასახლეში შესულიყო ხატთ მებრძოლ გვტქიან უღირსი პატრიარმებისაგან, ვითამ სასიკეთოდ საკეისრო სასახლისა, რომ რყვინილება აეცინინათ. მიქაელ კათალიკოზი უშლიდა თამარს პირველ ქორწინების დარღვევა. შეუძლებელია კათოლიკე სარწმუნოებაში. მოჰქონდა საბუთად პავლე მოციქულის ბრძანება: „ხოლო ქორწინებულთა მათ ვამცნებ ათ მე. არამედ უფალი: ცოლისა ქმრისაგან არა განშორებად, ხოლო უკეთუ განეშოროს, ეგენ უქორწინებლად, გინა ქმარსავე დაეგენ; და ქმარი ცოლსი ნუ დაუტეებენ. „ა. კორინთ. ზ. 10. 11. ამის წინად მიქაელ კათოლიკოზ ანტონ ბეყონდიდლისთვის ბეყონდიდლობის უფლება ჩამოეცალა უხასიათობისა და ბერძნებისკენ მიზიდულობისათვის. აგერ ეს გადამდგარი ანტონ გნოლის თავის ძე ბერძნების საკეისროში შესული მრუდი კანონის მიხედვით. შესაძლისად უმტკიცებდა და უადვილებდა თამარსა, და ისეც იქმნა. დაიწერა ჯვარი თამარმან სოსლან დავითს ზედა. „მაშინ მოკდა მირიანის ძე კათალიკოსი მიქაელ, რომელსა აქ უნდა სამთავისიცა, და არავინ შეწუხნა მისთვის არცა დიდი და არცა მცირე. რამეთუ ყოველნი სძულობდეს მას... მოიყვანა ანტონი გლონის თავის ძე გარესჯით, რომელნი პირველ ბეყონდიდელი იყო, და მიქაელ კათალიკოზმან მას მოსტაცა, მოძმაცვითა ვიეთმე მეფის განძრახთათა. ესე მოიყვანეს ნანდვილვე კაცი ღირსი ქებისა. მართალი. წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა. ტკბილი. მდაბალი. პატრონის ერთგული და შემეცნებული საერთოთა ეკლესიათა და მონასტერთათვის: რადგა სუბმარ არს თქმად, თვით წამებენ ქმნილნი მისნი, [1]). ვითარცა მღვმესა და კლარჯეთს ჰის მსერ ქმნილსა მონასტერსა და ყოველთა ადგილთა შეიდთავე სამეფოთა, და დიდებულთა განზრახვითა ესე დასვეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისის ხევი და მწიგნობართ უხუცესობა. რამეთუ მართალსა უკეთუ უბრკმეს, არავე დაეცეს: ამიერითაგანი იწყეს ვანზრახვათა კეთილთა სამეფოსათვ ვის და ერის უმჯობესთა“. ქართ. ცხ. ს. ტომის. 293. გვერდი.

1. აგერ ნახეთ თუ რა დიდად იქებს თვითანვე დამწერი თავის თავსა. ვ. მ.

(გასაგრძობია)

„ჯვარი ვაზისა“

რედაქციაში იმყოფება ახალი გამოსული წიგნები;
1) ისტორია კათოლიკებისა საქართველოში. თამარიშვილის მიერ.
2) თან სატარებელი წიგნაკი ლოცვათა ფასი 50 კაპ. გამოცემა პაწაძის მიერ.
3) ბასუხი სომეხ მწერალთა. თამარიშვილის მიერ.

რედაქტორ-გამომც. პ. დ. მუღაშოვ. ოფიციალური ნაწილი.

სტამბა „გუტემბერგისა“ ბ. ს. ესაძე. სასახლის ქუჩა.